

2016

წლიური ანგარიში

მენარქეობის განვითარების სააგენტო



ENTERPRISE GEORGIA

ჩვენ შესახებ

მენარმეობის განვითარების სააგენტო პირველი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს სამენარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, მცირე და საშუალო ბიზნესისა და ექსპორტის ხელშეწყობა წარმოადგენს.

სარჩევი

მისასალმებელი სიტყვები	04
დირექტორის გზავნილი	08
მენარმეობის განვითარების სააგენტოს შესახებ	10
მისია, ხედვა, ფასეულობები	10
ჩვენი გუნდი	11
პროგრამა „ანარმეოე საქართველოში“	14
პროგრამის „ანარმეოე საქართველოში“ შედეგები რიცხვებში	15
მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობა	18
სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობა	21
ექსპორტის ხელშეწყობა	22
შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება	24
„გადაიღე საქართველოში“	24
მოდის ინდუსტრია	28
#ქართულიადაკარგია	30
B2B ფორუმი	32
სტარტაპ მარკეტი	34
ბიზნესდაჯილდოება 2016	36
სტატისტიკური მონაცემები	39
მენარმეობის განვითარების სააგენტოს შედეგები რიცხვებში	40
„ანარმეოე საქართველოში“ – ინდუსტრიული მიმართულება	41
სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობა	42
მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობა	43
სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით	44



მინისტრის გზავნილი

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტს კერძო სექტორის განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, სიღარიბის შემცირება და საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება წარმოადგენს.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესია კერძო სექტორის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა და იმ სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სადაც კერძო სექტორის შესაძლებლობები სუსტი და შეზღუდულია.

შესაბამისად, ჩვენთვის, საქართველოს მთავრობისთვის, უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მენარმეობის, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, კერძო სექტორისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, საქართველოს ეკონომიკის რეგიონული და გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება და მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის შექმნისკენ მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა. ასევე, თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და მომსახურების სფეროს განვითარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, რაც გულისხმობს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, ასევე ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას, ტექნიკურ დახმარებას, ინოვაციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობას, ექსპორტის ხელშეწყობასა და კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოებას, 2014 წელს შეიქმნა მენარმეობის განვითარების სააგენტო. სააგენტოს საქმიანობის მთავარი მიმართულებებია – ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, სამენარმეო უნარების ამაღლება, ექსპორტის წახალისება და განვითარება.

სწორედ საერთო ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების კუთხით საკმაოდ აქტიურად ვახორციელებთ სხვადასხვა აქტივობას, რომელთა ეფექტიანობასაც მიღწეული შედეგები ცხადყოფს.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აღნიშნული მიმართულებით ჩვენ მიერ ინიცირებული და განხორციელებული საქმიანობა საკმაოდ წარმატებულია. ზოგადად, პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ და ბიზნესის მხარდამჭერი სხვა სამთავრობო პროგრამების შედეგად, 2016 წლისთვის შეიქმნა 361 ახალი და გადაიარაღდა 782 საწარმო, დასაქმდა 25 000-მდე ადამიანი. ბიზნესს შემდგომი განვითარებისთვის გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 81 ქონება. ახალი ბიზნესების გასავითარებლად საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის მოცულობამ 4 მილიარდ ლარს გადააჭარბა, ხოლო სახელმწიფოს თანადაფინანსებამ 778 მილიონი ლარი შეადგინა.

რაც შეეხება საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარებასა და ექსპორტის ხელშეწყობას – ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი პირობაა საერთაშორისო ვაჭრობის სათანადო შესაძლებლობები, რომელსაც სახელმწიფო უქმნის მენარმეებს. ამ მიმართულებით, მინდა, ხაზი გავუსვა სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს, რაც საბოლოო ჯამში ქართული პროდუქციისთვის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციაში გამოიხატა.

ასევე მინდა ხაზი გავუსვა, რომ გრძელდება მუშაობა მსოფლიო ბაზრებთან ინტეგრაციისა და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების შექმნის მიმართულებით. ამასთანავე, არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა ქართული საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდის კუთხითაც. ეს ყველაფერი კი ჩვენს მისიასა და ხედვას ეხმიანება და სტაბილური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას ემსახურება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საექსპორტო და საინვესტიციო ნაკადების ზრდას.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს – 2017 წელს მენარმეებისთვის ძალიან პოზიტიური და სასარგებლო სიახლით ვინწყებთ. ჩვენ ერთი ქოლგის, პროგრამის „ანარმეო საქართველოში“ ბრენდის ქვეშ ვაერთიანებთ ეკონომიკის სამინისტროს მენარმეობის განვითარების სააგენტოს, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოსა და საქართველოს საპარტნიორო ფონდის მენარმეობის მხარდაჭერისთვის არსებულ პროექტებს („ანარმეო საქართველოში“, ერთიანი აგროპროექტი, მიკრო და მინი გრანტები, „სტარტაპ საქართველო“, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, დამწყები ბიზნესის ხელშეწყობი პროგრამა, „დანერგე მომავალი“ და ა.შ.), რაც კიდევ უფრო მეტად მორგებული იქნება კერძო სექტორის საჭიროებებს, გაზრდის ეფექტიანობასა და ხელს შეუწყობს მოქნილი, სტრუქტურირებული სისტემის ჩამოყალიბებას.


შესაბამისად, ჩვენ ვქმნით ერთიან საინფორმაციო სივრცეს – საინფორმაციო ცენტრს, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ მენარმეს შეეძლება, მიიღოს ინ-

ფორმაცია სახელმწიფოს მხრიდან არსებული ფინანსური თუ ტექნიკური დახმარების მექანიზმების შესახებ. აღნიშნულ ცენტრში ინფორმაცია გაიცემა ერთი სარკმლის პრინციპით. ვფიქრობ, ეს საკმაოდ მოსახერხებელი იქნება და დაეხმარება დაინტერესებულ პირებს, მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია საკუთარი საქმის წამოწყებისა თუ განვითარების კუთხით.

დასასრულს, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ 2017 წელს კიდევ უფრო მეტად შევუწყობთ ხელს ქართული პროდუქციის რეალიზაციას, ექსპორტის განვითარებასა და ტექნიკური დახმარების კომპონენტის გაძლიერებას, რაც კერძო სექტორისთვის კიდევ უფრო მეტად კომფორტულ გარემოს შექმნის და ახალ შესაძლებლობებს წარმოქმნის ბიზნესის განვითარებისთვის.

გიორგი გახარია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი





მინისტრის მოადგილის გზავნილი

ჩემთვის დიდი პატივია შევაჯამო მენარმეობის განვითარების სააგენტოს საქმიანობა და ვისაუბრო მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და საზოგადოებაში პოპულარულ ინიციატივაზე „ანარმეო საქართველოში“.

ინიცირებიდან მხოლოდ 2 წელში პროგრამა „ანარმეო საქართველოში“ დამკვიდრდა, როგორც ბიზნესის ხელშეწყობის ძალიან ეფექტური მექანიზმი და დღეის მდგომარეობით მის პორტფელში უკვე ირიცხება 220 მხარდაჭერილი პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 493.3 მლნ. ლარს, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა ჯამში შეადგენს 266.4 მლნ. ლარს, ხოლო ჯამურად დასაქმდება 10 075 ადამიანი.

მინდა ავლნიშნო, რომ პროგრამების განხორციელების პირველადი შეფასება საკმაოდ პოზიტიურია ეფექტიანობის კუთხით, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირებული 1 ლარი ქმნის დაახლოებით 10 ლარის ინვესტიციას და ახდენს დამატებით 8 ლარის მოცულობის კომერციული სესხის გაცემის სტიმულირებას.

2016 წლის ბოლოს 10 ბენეფიციარი კომპანიის მიერ მოხდა პროგრამით გათვალისწინებული 2 წლიანი ვალდებულებების სრული შესრულება. აღნიშნულმა კომპანიებმა სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერით განახორციელეს 50 მლნ. ლარამდე მოცულობის ინვესტიცია, შექმნეს 300 – ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი და ბიუჯეტში გადასახადების სახით შეიტანეს იმ

სუბსიდიის მოცულობის თანხა, რომელიც მათ პროგრამის ფარგლებში მიიღეს, ხოლო საშუალო ხელფასი კომპანიებში განისაზღვრება 800 ლარით.

მახარებს ის ფაქტი, რომ პროგრამა ძალიან წარმატებით ხორციელდება, ხოლო მის ფარგლებში მხარდაჭერილი კომპანიები, წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხის გამო, დროის მცირე მონაკვეთში აღწევენ მნიშვნელოვან შედეგებს. ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი არის შპს „დენოლა“, რომელმაც, სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერით უკვე განახორციელა 2 მლნ. აშშ დოლარზე მეტი მოცულობის ინვესტიცია, დაასაქმა 50 ადამიანი და საქართველოში შექმნა პირველი პარალონის სანარმო და არსებული ბაზრის 60% დაიკავა, შესაბამისად, ახლა უკვე შესაძლებელია საქართველოში წარმოებული ამ კონკრეტული პროდუქციის შექმნა.

აქვე მინდა ავლნიშნო, რომ პროგრამაში წარმოდგენილია ისეთი ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური დარგები, როგორცაა ქიმიური მრეწველობა და ფარმაცევტული წარმოება. სულ ცოტა ხნის წინ, სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერით გაიხსნა ახალი სანარმო, შპს „ჰემოლაინი“, რომელმაც შექმნა პოსტ საბჭოთა სივრცეში პირველი სისხლის პლაზმის ჩამბარებელი პუნქტი, სადაც ხდება პლაზმის დამუშავება და ევროპის ბაზარზე ექსპორტირება. კომპანიამ შპს „ტისუ პეიპერ“ 3,4 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელების შედეგად მოახერხა საქართველოში დაეწყო მაკულატურის გადამამუშავება და დაესაქმებინა 100-მდე ადამიანი. კომპანია ანარ-

მოებს სხვადასხვა დანიშნულების ჰიგიენურ ქაღალდებს და ეტაპობრივად ახდენს ადგილობრივი ბაზრის ათვისებას.

ნამდვილად მისასალმებელია, რომ სააგენტოს მიერ მენარმეებისათვის შეთავაზებულმა ფინანსური და ტექნიკური დახმარების ეფექტურმა მექანიზმებმა საგრძნობლად გაამარტივა ქვეყანაში ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და კიდევ უფრო გაამყარა ის ხელსაყრელი ბიზნესკლიმატი, რომელსაც მთავრობა ბიზნესმენებს სთავაზობს.

აქვე მინდა ავლინო, რომ სააგენტოს გუნდის თავდაუზოგავი შრომისა და პროფესიონალიზმის წყალობით 2016 წელს დაიწყო 2 ახალი პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ და „უმასპინძლე საქართველოში“ განხორციელება. ორივე პროექტმა ძალიან მოკლე დროში მოიტანა ხელსაყრელი შედეგები ქვეყნისათვის. შესაბამისად, 2017 წელს გაგრძელდება, როგორც კინონდუსტრიის განვითარების ხელშეწყობის ინიციატივა, ისე ქვეყნის მასშტაბით მოხდება სასტუმროების დეველოპერების ნახალისება ააშენონ ან გააფართოვონ არსებული სასტუმროები და დანერგონ ფრენჩაიზინგის ხელშეწყობის რეგულაციები ამ მიმართულებით.

2016 წელს ჩვენ დიდი ყურადღება დავუთმეთ შემოქმედებით ინდუსტრიათა განვითარებას. მოდის, კინონდუსტრიის, დიზაინის, ხელნაკეთი ნივთებისა და სხვა მიმართულებების პარალელურად ჩვენი მიზანია წავახალისოთ ნიჭიერი ადამიანები, რათა მოახდინონ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების კომერციალიზაცია და წვლილი შეიტანონ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. აქტიურად დავუჭირეთ მხარი საერთაშორისო მყიდველების ჩამოყვანას თბილისის და მერსედეს ბენცის მოდის კვირეულების ფარგლებში და ქართველ დიზაინერებს შევუქმენით წინაპირობა გააცნონ მსოფლიო მოდის სამყაროს საკუთარი ნამუშევრები.

მომავალი წლის განმავლობაში გავაძლიერებთ ექსპორტის განვითარებისა და საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაციის კუთხით მუშაობას. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ექსპორტზე ორიენტირებული

კომპანიების განვითარებას და ვაწარმოოთ მიზანმიმართული მარკეტინგი წინასწარ განსაზღვრული სექტორებისა და ბაზრების მიხედვით.

ამის გარდა, ჩვენი გეგმის ერთ-ერთი ნაწილია ქართული კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და მათი ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

ჩვენ ვართ კავკასიის მასშტაბით პირველი ფრენჩაიზინგის ფორუმის BuyBrand ოფიციალური პარტნიორები, რომელიც 2017 წლის მაისში თბილისში განხორციელდება. ეს არის ჩვენი ფრენჩაიზინგის პროექტის ლოგიკური გაგრძელება, რომელსაც უკვე მეორე წელია ამერიკელ პარტნიორებთან ერთად ვახორციელებთ.

ასევე ძალიან დადებითი შეფასება აქვს ჩვენს თანამშრომლობას გერმანულ და იაპონურ პარტნიორებთან. არაერთი ღონისძიება განვახორციელებთ ბიზნესების ტექნიკური დახმარების მიმართულებით და მომავალ წელსაც გავაგრძელებთ თანამშრომლობის

ქეთევან ბოჭორიშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე





დირექტორის გზავნილი

მენარმეობის განვითარების სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის შეჯამება პირველ რიგში მადლობით მინდა დავიწყო იმ ადამიანების მიმართ, რომელთა მოტივაციის, პროფესიონალიზმისა და შრომის შედეგადაც მენარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულმა თითოეულმა აქტივობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალი სანარმოების გახსნას თუ არსებულების გაფართოებას და უამრავ მენარმეს მისცა შესაძლებლობა წამოეწყო ან განე-ვითარებინა საკუთარი საქმიანობა.

სააგენტოს დღის წესრიგში უმნიშვნელოვანესი საკითხი კერძო სექტორის განვითარებაა, რომლის მისაღწევადაც სხვადასხვა მიმართულებით ვმუშაობთ და ვცდილობთ რადიკალურად განსხვავებული ტიპის კომპონენტები მთლიანად მოვარგოთ ქვეყნის საჭიროებებს, რაც თავის მხრივ, მრეწველობის წახალისებას ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის ფინანსური და არა ფინანსური საშუალებებით.

დღესდღეობით, პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში საკმაოდ შთაბეჭედავი მონაცემები გვაქვს. მენარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ, 2016 წელს, ინდუსტრიული მიმართულებით მხარდაჭერილია 150 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 215.5 მლნ. ლარს, ხოლო ჯამურად 6 498 ადამიანი დასაქმდება. რაც შეეხება სასტუმრო ინდუსტრიას, მოცემული მიმართულებით მხარდაჭერილია 15 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 29,4 მლნ. ლარს. მნიშვნელოვანია, რომ აღნი-

შნული 15 სასტუმრო რეგიონებში შექმნის 432 დამატებით ოთახს და 452 ახალ სამუშაო ადგილს.

აქვე, ცალკე მინდა გამოვყო საქართველოს რეგიონებში ჩვენ მიერ განხორციელებული მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს. აღნიშნული პროგრამა უნიკალური მექანიზმია, რომელიც რეგიონის მოსახლეობას სტიმულს აძლევს აკეთონ საკუთარი საქმე, შექმნან მეტი დოვლათი და დაასაქმონ სხვა ადამიანებიც. მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამის შედეგად 2016 წლის ბოლოსათვის ჩვენ უკვე დაფინანსებული გვყავს 4 876 ბენეფიციარი, ხოლო გადამზადებულია რიცხვი 8 880 ადამიანს შეადგენს.

2016 წელი ასევე წარმატებული აღმოჩნდა ახალი, კინონდუსტრიის ხელშეწყობის კომპონენტისთვის „გადაიღე საქართველოში“, რომლის შედეგადაც 5 პროექტი განხორციელდა, ქვეყანაში 7 მილიონ ლარზე მეტი თანხა დაიხარჯა და 1000-მდე ადამიანი დასაქმდა გადაღებების დროს. შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით, აგრეთვე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დიზაინერების ხელშეწყობის კუთხითაც. ჩვენი დახმარებით 2016 წელს საქართველოს 20-ზე მეტი საერთაშორისო მყიდველი ეწვია და გაეცნო ადგილობრივი დიზაინერების ნამუშევრებს.

მთელი წლის განმავლობაში სააგენტო აქტიურად ახორციელებდა კომპანიების ტექნიკურ დახმარებას,

რომელიც ბიზნესის მხარდაჭერის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა კომპანიებისათვის სხვადასხვა სახის კონსულტაციების განწვევა, მათ შორის, ექსპორტის მიმართულებითაც.

ტექნიკური დახმარების აქტივობების ფარგლებში 2016 წელს ჩვენ გავხდით გერმანიის სამთავრობო პროგრამის "Fit for Partnership with Germany" ოფიციალური პარტნიორები და 18 კომპანიას მივეცით შესაძლებლობა მენეჯმენტ კურსი გაეწვით გერმანიაში.

ყველაფერთან ერთად, წელს ჩვენ შევძელით და პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ბენეფიციარებისათვის ჩავატარეთ ყველაზე მასშტაბური და რაც ძალიან მახარებს ეფექტური ბიზნეს ფორუმი, რომელზეც 200-მდე კომპანია იყო დარეგისტრირებული და მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში 300-მდე შეხვედრა შედგა, როგორც პროგრამის ბენეფიციარებს, ისე მოწვეული მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებს შორის. აღნიშნული ღონისძიებით ჩვენ შევქმენით საკომუნიკაციო პლატფორმა, რომლის ინტენსიურად გამოყენებასაც ვგეგმავთ 2017 წელს.

ამასთანავე, მინდა აღვნიშნო, რომ ექსპორტის ხელშეწყობა სააგენტოს დაარსების დღიდან ერთ-ერთი საკვანძო მიმართულებაა და არც 2016 წელი ყოფილა გამონაკლისი. სააგენტოს მხარდაჭერით 100 ქართველმა ექსპორტიორმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო სავაჭრო მისიებსა და გამოფენებში. ჩვენი დახმარებით შესაძლებელი გახდა დამყარებულიყო 1000-ზე მეტი ახალი კონტაქტი, რომლის ღირებულებამ ჯამურად 55 მილიონ ლარს მიაღწია.

2016 წელს პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში კონკრეტული პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა მენარმეებისათვის. პროგრამა კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდა კერძო სექტორისთვის. 2017 წლიდან პროგრამის ფარგლებში სესხების გაცემა მოხდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეულ ფინანსურ რისკებს. გარდა

ამისა, პროგრამას უახლოეს მომავალში დაემატება ინფრასტრუქტურული კომპონენტიც, რომელიც გულისხმობს ბიზნესისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განწვევას სახელმწიფოს მხრიდან.


რაც შეეხება კიდევ ერთ სამომავლო გეგმას, 2017 წელს საქართველოს რეგიონებში კვლავ გაგრძელდება მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამა. აქტიურად ვიმუშავებთ კინონდუსტრიის შემდგომ განვითარებაზეც. მომავალ წელს ასევე გავაგრძელებთ ტექნიკური დახმარების კომპონენტის გაძლიერებას და მენარმეების საჭიროებებზე კიდევ უფრო ეფექტურად მორგებას, რაც, თავის მხრივ, გააღრმავებს თანამშრომლობას სხვადასხვა დონორ ორგანიზაციასა და უწყებასთან.

ანი კვარაცხელია
მენარმეობის განვითარების
სააგენტოს დირექტორი

ანი კვარაცხელია

მისია:

ქართული საწარმოების მხარდაჭერა მოგების გაზრდასა და გლობალური კონკურენტუნარიანობის განვითარებაში




ხედვა:

კერძო სექტორის მიერ მართული და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა

ჩვენ ვაფასებთ:

- ინოვაციასა და შემოქმედებითობას
- ეფექტიანობასა და შედეგზე ორიენტირებულობას
- მომხმარებლის კმაყოფილებას
- ხედვისა და ღირებულების გაზიარებას
- სააგენტოს თანამშრომელთა წვლილს




ჩვენი გუნდი

მენარმეობის განვითარების სააგენტო ახალგაზრდა და მოტივირებული ინდივიდებისგან შემდგარი ერთიანი გუნდია, რომელთა დაუბარებლ შრომაზე, ერთუზიანობა და პროფესიონალიზმზე დგას სააგენტოს წარმატება



ანი კვარაცხელია
დირექტორი



დავით მაყაშვილი
ექსპორტის მენეჯერი



ნინო ორკოშვილი
საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი



ცოტნე ამაშუკელი
ექსპორტის განვითარების მენეჯერი



სოფიკო ქირია
კადრების მენეჯერი



ანა უგულავა
დირექტორის თანამშენვენი



ბოკა ტაბატაძე
მთავარი ანალიტიკოსი



ნუგზარ უშილაური
მთავარი ბუღალტერი



სოფო ბენდიაშვილი
შემოქმედებითი მენარმეობისა და მომსახურების განვითარების დეპარტამენტის უფროსი



მარიამ ლორთქიფანიძე
საქამისმწარმოებელი



დავით შილაშვილი
მონიტორინგის, შეფასების და ანალიზის დეპარტამენტის უფროსი



ნუსა ქისტაური
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

ჩვენ ვმუშაობთ...



შალვა ჯაფარიძე
კომპონენტის მენეჯერი



ქეთევან ჩუხუა
პროექტების მენეჯერი



ოთარ ანთია
მენარმეობის განვითარების
დეპარტამენტის უფროსი



ავთანდილ ღოღობერიძე
ბიზნეს განვითარების მრჩეველი



თათია ბიძინაშვილი
შემოქმედებითი მენარმეობის და
მომსახურების განვითარების მრჩეველი



თეონა ბაბუნაშვილი
ბიზნეს განვითარების მრჩეველი



ია გოგილაშვილი
ბუღალტერი



ირინა მეზურნიშვილი
ბიზნეს განვითარების მრჩეველი



დავით მამარდაშვილი
დირექტორის მოადგილე



გიორგი სვანიძე
ბიზნეს განვითარების მრჩეველი



გიორგი ჩიტაიშვილი
დირექტორის მოადგილე



ლიკა მეზვრიშვილი
მარკეტინგის მენეჯერი

... გარემოში, სადაც თანამშრომლების უნარების გაუმჯობესება მუდმივადაა შესაძლებელი, ფასდება სრულყოფილებისკენ სწრაფვა და პროფესიონალიზმი



მარიამ თურნავა
ექსპორტის განვითარების მენეჯერი



ნინო სხირტლადე
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი



ელენე ჩხაიძე
ანალიტიკოსი



ლევან ციკოლია
შესყიდვების მენეჯერი



კოტე მდინარაძე
ექსპორტის განვითარების
დეპარტამენტის უფროსი



გიგა ხარჩილავა
ოფის მენეჯერი



ირინე გიორგიძე
ბიზნეს განვითარების მრჩეველი



მარლენ ანთია
მძღოლი



თინათინ როსტიაშვილი
საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი



მიხეილ ხიზანიშვილი
მძღოლი

სახელმწიფო პროგრამა „ანარმოე საქართველოში“



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ უკვე 2 წელია ხორციელდება პროგრამა „ანარმოე საქართველოში“, რომელიც მიმართულია წარმოების განვითარებისა და წახალისებისაკენ.

სახელმწიფო პროგრამის უმთავრესი ამოცანაა:

- მენარმეობის განვითარება ქვეყნის მასშტაბით
- მენარმე-სუბიექტების მხარდაჭერა ახალი საწარმოების შექმნის და არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღების კუთხით
- კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა

დაინტერესებულ მენარმეებს პროგრამის მეშვეობით შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი მექანიზმები:

- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივება
- უძრავი ქონებით უზრუნველყოფა
- საკონსულტაციო მომსახურება

პროგრამას ახორციელებს 3 სახელმწიფო უწყება:



სოფლის მეურნეობის
პროექტების მართვის სააგენტო



პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი განმახორციელებელი უწყებაა მენარმეობის განვითარების სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის ფინანსური და არაფინანსური მექანიზმების საშუალებით წარმოების ხელშეწყობას, რაც თავის მხრივ, საბანკო სესხსა და ლიზინგის ობიექტზე საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებასა და სესხის 50%-მდე გირაოში თანადგომას გულისხმობს, როგორც ახალი, ასევე არსებული საწარმოებისთვის.

პროგრამის „ანარმეო საქართველოში“ შედეგები რიცხვებში*

220

ახარდაჭარილი
პროექტი

493 310 000 ლ
ინვესტიციის
მოცულობა

10 075
უდაბიანი
დასაქმება


266 390 000 ლ
სესხის
მოცულობა



ანარმეო საქართველოში

* შენიშვნა: მოცემული მონაცემები ასახავს სახელმწიფო პროგრამაში ჩართული სამივე უწყების, მენარმეობის განვითარების სააგენტოს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს შედეგებს.








მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამა

2015 წლიდან მენარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამა ხორციელდება და ფინანსური დახმარებისა თუ საკონსულტაციო მომსახურების გზით ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს.

ფინანსური მხარდაჭერა ბიზნეს იდეების კონკურსში გამარჯვებული მენარმეებისათვის საკუთარი საქმის წამოწყებისა და გაფართოებისათვის სახელმწიფოს მხრიდან 5 000-დან 15 000 ლარამდე თანხის გაცემას გულისხმობს.

საკონსულტაციო კომპონენტის ფარგლებში კი მენარმეებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ ინდივიდუალური კონსულტაციებით, გარდაქმნან ბიზნეს იდეა ბიზნესგეგმად, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სასწავლო კურსში და განავითარონ საჭირო უნარები ბიზნესის წარმატებით განსახორციელებლად.






სასტუმრო ინდუსტრიის მხარდაჭერა

2016 წელს, სახელმწიფო პროგრამას „ანარმეო საქართველოში“ ახალი, სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობის კომპონენტი „უმასპინძლე საქართველოში“ დაემატა, რომელიც მენარმეს შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითაროს სასტუმრო ბიზნესი, შექმნას სამუშაო ადგილები, მოიზიდოს მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყოს რეგიონის განვითარებას.

რეგიონებში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება, გარდა ინდუსტრიული მიმართულებებისა, ხელს უწყობს ქვეყანაში თანამედროვე სტანდარტების სასტუმროების მშენებლობას, როგორც კომერციული სექსის წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებით, ასევე, ქვეყანაში მაღალი სტანდარტების მომსახურების დანერგვისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო ბრენდების შემოყვანასთან დაკავშირებული თანხების თანადაფინანსებით.



ექსპორტის ხელშეწყობა

მენარმეობის განვითარების სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას საექსპორტო პოტენციალის ზრდა წარმოადგენს. საერთაშორისო გამოფენებსა და სავაჭრო მისიებში მონაწილეობის გზით კომპანიებს საშუალება ეძლევათ სამიზნე ბაზრებზე წარადგინონ საკუთარი პროდუქცია, დაამყარონ ახალი კონტაქტები, გაამყარონ არსებული თანამშრომლობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეისწავლონ ახალი საბაზრო ტენდენციები. საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობაში ხელშეწყობა მხოლოდ ნაწილია იმ აქტივობების, რაც ექსპორტის მხარდაჭერის კუთხით ხორციელდება. ექსპორტიორთა უნარების ამაღლების კუთხით ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადაადგმული, საკონსულტაციო და მარკეტინგული მომსახურება, აგრეთვე ონლაინ პლატფორმის გზით ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია ის მექანიზმებია, რომლის საშუალებითაც მენარმეობის განვითარების სააგენტო მუდმივად ცდილობს კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით სააგენტოს მთავარი ამოცანაა:

- საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაცია
- საექსპორტო ბაზრების, პროდუქტების და სერვისების დივერსიფიცირება
- ექსპორტის წილის ზრდა ექსპორტის წახალისების კუთხით

სააგენტო მენარმეებს სთავაზობს შემდეგ მექანიზმებს:

- საერთაშორისო გამოფენებზე ქართული კომპანიების მონაწილეობა
- სავაჭრო მისიების ორგანიზება
- განათლებამზე ხელმისაწვდომობა (ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი)
- საექსპორტო ბაზრებზე ინფორმაციის მიწოდება (კონსულტაციები)
- კატალოგის გამოცემა და სავაჭრო ვებ-პორტალზე www.tradewithgeorgia.com რეგისტრაცია

2016 წლის განმავლობაში სააგენტოს დახმარებით ქართულ კომპანიებს სხვადასხვა შესაძლებლობა მიეცათ, რამაც საკმაოდ წარმატებული შედეგებიც მოიტანა:

ახალი საექსპორტო ბაზრის რაოდენობა	10
საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე კომპანიების რაოდენობა	100
საერთაშორისო ღონისძიებებზე დამყარებული კონტაქტების რაოდენობა	> 1000
სხვადასხვა ღონისძიებების შედეგად გაფორმებული კონტრაქტების საერთო მოცულობა	> 55,000,000 ლ
განეული კონსულტაციების რაოდენობა (DCFTA-სთან მიმართებაში)	> 220

ექსპორტის ხელშეწყობა რიცხვებში

75 000 000 ₾

მხარდაჭერილი
ექსპორტის
ღირებულება

150

მხარდაჭერილი
საექსპორტო
კომპანიები

20 000 000 ₾

პროგრამის „ანარმოე
საქართველოში“
ბენეფიციართა მიერ
განხორციელებული
ექსპორტის
ღირებულება

40 000 000 ₾

ევროკავშირში
განხორციელებული
ექსპორტის
ღირებულება

შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარების მხარდაჭერა

2016 წელს სააგენტოში ახალი მიმართულება ჩამოყალიბდა, რომელიც შემოქმედებითი მენარმეობისა და შესაბამისი მომსახურებების განვითარებას გულისხმობს და მიმართულია შემოქმედებითი ინდუსტრიის მხარდაჭერისა და მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციისკენ.

„გადაიღე საქართველოში“

პროგრამა „გადაიღე საქართველოში“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროების ერთობლივი ინიციატივაა, რომლის განმახორციელებელ უწყებასაც მენარმეობის განვითარების სააგენტო წარმოადგენს.

პროგრამა „გადაიღე საქართველოში“ საქართველოში განუული ე.წ კვალიფიციური ხარჯების 20-25%-მდე პროდიუსერებისათვის ანაზღაურებას გულისხმობს და მიზნად ისახავს ქვეყანაში კინოინდუსტრიის წახალისებას, საერთაშორისო კინომწარმოებლების მოზიდვასა და საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ ევროპის კინოგადაღების ცენტრად ქცევას.

ტექნიკური დახმარება

საერთაშორისო კინომწარმოებლებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისა და ბიუროკრატიული პროცედურების მაქსიმალურად გამარტივების მიზნით მენარმეობის განვითარების სააგენტო კინომწარმოებლებს ტექნიკურ დახმარებას სთავაზობს შემდეგი მიმართულებებით:

- ლოკაციის შერჩევა
- სამთავრობო უწყებებისგან ნებართვების მიღება
- სხვადასხვა უწყებასთან კომუნიკაცია და კოორდინაცია

შედეგები

პროგრამის ფარგლებში უკვე დასრულებულია ხუთი პროექტი, რომლის შედეგადაც საქართველოში განხორციელებული ინვესტიცია 7 305 065 ლარს უტოლდება, მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მოცულობა 5 889 676 ლარია, ხოლო დასაქმებულთა რიცხვი 1000 ადგილობრივს შეადგენს.

პროექტები



“Machine”

ბოლივუდის წამყავნი პროდიუსერები, ძმები აბას და მუსტან ბურმაგალები იყვნენ პირველები, რომლებიც საქართველოს გადასაღებ პოტენციალს გაეცნენ. პროგრამაში „გადაიღე საქართველოში“ ჩართვის შედეგად ინდური რომანტიკული ტრილერის “Machine” გადაღებები 65 დღის განმავლობაში ადგილობრივ საპროდიუსერო და სარეკლამო კომპანიასთან „ბეთერფლაი“ თანამშრომლობით ბათუმსა და მესტიამი განხორციელდა.

კინონარმეობის პროცესში გარდა ინდოელი მსახიობებისა, ასევე, ჩართული იყო 70-ზე მეტი ქართველი


მსახიობი, ხოლო მასიური სცენების გადაღებისას დასაქმდა 200-ზე მეტი ადამიანი.

მუშაი თაიმსისათვის მიცემულ ინტერვიუში ძმებმა ბურმაგალებმა საქართველოს, როგორც კინოლოკაციის არჩევის მიზეზიც განმარტეს: „დღესდღეობით ყველაფერი დამოკიდებულია კინოპროდუქტის სათანადოდ წარმოჩენაზე, ფილმი უნდა იყოს დახვეწილი და ვიზუალურად კარგად საყურებელი“.

„კლოუნი“

ანტონი ლუსეროს რეჟისორობითა და ცნობილი მსახიობის, ლილი კოლინის მონაწილეობით მხატვრული ფილმის „კლოუნი“ გადაღებები უმეტესწილად საქართველოში მიმდინარეობდა. გადაღებები ადგილობრივ საპროდუქსერო კომპანიასთან „მისთი დონი“ თანამშრომლობით 8 აგვისტოს დაიწყო და 40 დღეს გაგრძელდა, რომლის ფარგლებშიც საქართველოში დახარჯულმა თანხამ თითქმის 2 მილიონ ლარს მიაღწია.

სხვადასხვა წამყვან უცხოელ მსახიობთან ერთად, კონკრეტული როლები ერგოთ ქართველ მსახიობებსაც. ფილმში ნუსა კუხიანიძემ და ქეთი მჭედლი-შვილმაც მიიღეს მონაწილეობა.



„ჩემი ბედნიერი ოჯახი“

სიმონ გროსისა და ნანა ექვთიმიშვილის ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ გერმანიის, საქართველოსა და საფრანგეთის ერთობლივი კინოპროდუქციაა, რომლის 3 თვიანი გადაღებები უმეტესწილად თბილისის სხვადასხვა უბანში მიმდინარეობდა.

ფილმი თბილისში მცხოვრები ქართული ოჯახის ისტორიას ასახავს, სადაც მთავარ როლებს ქართველი მსახიობები, ია შულღიაშვილი და მერაბ ნინიძე ასრულებენ. ფილმის გადაღებებში მონაწილე მსახიობების ჯამური რაოდენობა 100-მდე მერყეობდა.

„გაუტამიპუტრა სატაკარნი“

საქართველო 6 ივლისს ინდური ისტორიული ფილმის „გაუტამიპუტრა სატაკარნი“ გადასაღებ მოედნად იქცა.

ინდური და ბერძნული საბრძოლო ხელოვნების ამსახველი კადრების გადაღებების ცენტრად საქართველოს მაღალმთიანი რეგიონები შეირჩა. ინდურ ფილმში ერთ-ერთი ნამყვანი როლი ქართველმა მსახიობმა, დავით მანუჩაროვმა შეასრულა, მასიური გადაღების პროცესში კი 400-ზე მეტი ადამიანი დასაქმდა.

საბოლოო კადრები საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რაც მეტნილად უნიკალურმა ლოკაციებმა განაპირობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფილმისთვის „გაუტამიპუტრა სატაკარნი“, რომლის გადაღებები ადგილობრივი საპროდიუსერო კომპანიის „სარკე სტუდიოს“ დამხარებით მიმდინარეობდა, კომპანია „იგელ პროდაქშენს“ პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში უკვე აუნაზღაურდა საქართველოში განუული კვალიფიციური ხარჯის 20%.



„გარუდა ვეგა“

ინდური ფილმი „გარუდა ვეგა“ პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ შთამბეჭდავ პორტფოლიოში შემავალი უახლესი პროექტია.

ფილმის გადაღებების პროცესი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ბორჯომში, კახეთში, ჭიათურაში, ბათუმსა და თბილისში 1 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტის ფარგლებში საქართველოში დახარჯულმა თანხამ 790 000 ლარი შეადგინა, ხოლო გადაღებების პირველ ეტაპზე 20 მსახიობი დასაქმდა.

ინდოელ კინომწარმოებლებს ადგილობრივი საპროდიუსერო კომპანია „სარკე სტუდიო“ უწვდა თანამშრომლობას.





მოდის ინდუსტრია



